საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1152/01
08/02/2022

1152-01-2-202202081444

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“

მის: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებელის ქ. №38

ელ.ფოსტა: gulnara.kekelidze@apmterminals.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 14 იანვრის №446 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთში ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველში მითითებულია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის მიხედვით, ნავსადგურის ტერიტორიაზე ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ავტოსამრეცხაოს და მისი ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაკავშირებულია ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან, რაც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, სს „ფოთის საზღვაო

ნავსადგურის" არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა კომპანიის მიერ „გარემოსადცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელების ფაქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი;

- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გამწმენდი ნაგებობა უკვე მოწყობილია, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდი დანადგარის ტიპი, ტექნიკური მახასიათებლები, წარმადობა და ტექნოლოგიური სქემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე